9 (47.922)
ფ - 999

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თამარ გრიგოლის ასული ფხალაძე

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და ქართული ენის საკითხი XIX საუკუნის მეორე ნახევარში

(პერიოდიკის მიხედვით)

სპეციალობა – 07.00.01 – საქართველოს ისტორია

ავტორეფერატი

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
2005 წელი

9(47.922) 1979
3-999 ფხალაძე თ.
საქ-ს პარტიზანული
ქარაგული ეკ. საკითხ
XIX-ის ბოლოს ვარდ
1979

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თამარ გრიგოლის ასული ფხალაძე

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და ქართული ენის საკითხი XIX საუკუნის მეორე ნახევარში

(პერიოდიკის მიხედვით)

-1979-

სპეციალობა – 07.00.01 – საქართველოს ისტორია

ავტორეფერატი

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
2005 წელი

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრაზე.

თემის სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ქეთევან პავლიაშვილი

ოფიციალური ოპონენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვახტანგ გურული

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი მამია დღვილავა

დისერტაციის დაცვა შედგება 2005 წლის „16“ „მაისს 14 სთ.“ ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის, საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობისა და ისტორიული კულტუროლოგიის სადისერტაციო საბჭოს .07.01.C№1 სხდომაზე (ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1). აუდ.№93.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა „_____“ 12.04.05.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ნ. ვაჩნაძე

I. სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

<u>თემის აქტუალობა</u>. თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე ურთულესი პოლიტიკური ძვრები, სამყაროს გლობალიზაციის მიმართულებით მიმდინარე პროცესები სერიოზულ საფრთხეს უქმნის მცირერიცხოვან, მაგრამ საუკუნეებგამოვლილ, მაღალი ცივილიზაციის მატარებელ ეთნოსებს და მათ კულტურას. ასეთთა რიცხვში ქართველი ერიც მოიაზრება. დღესაც, ისევე, როგორც ისტორიულ წარსულში, ქართველ ხალხს დიდი ერების ცივილიზაციათა მხრიდან შთანთქმა ემუქრება. ასეთ შემთხვევაში, განსაკუთრებით საგულისხმოა საქართველოს ისტორიის იმ ეტაპების მეცნიერული კვლევა, როდესაც მიმდინარეობდა ეროვნული თვითმყოფადობის, ტრადიციისა და კულტურის დაცვის მიმართულებით მუშაობა. აქედან გამომდინარე, ჩვენი საკვლევი თემა აქტუალურ ხასიათს იძენს და შეესაბამება თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე პროცესებს. ქართველი ხალხის ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის ისტორიის გაშუქება ვფიქრობთ, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიისათვის.

<u>კვლევის ობიექტი</u>. XIX საუკუნის მეორე ნახევარი საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ერთ-ერთი ურთულესი პერიოდია.

საუკუნის დასაწყისში რუსეთის თვითმპყრობელობამ გაანადგურა ქართული სახელმწიფოებრიობის ყოველი ნიშანი და ქვეყანა უკიდეგანო იმპერიის ორ პერიფერიულ გუბერნიად აქცია. არანაკლებ მძიმე შედეგი მოჰყვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას - საქართველოს საეგზარქოსო საერთო იმპერიული, რუსული საეკლესიო ადმინისტრაციის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა და ისეთივე მონდომებით ატარებდა დამპყრობლურ პოლიტიკას საქართველოში, როგორც მმართვე-ლობის სხვა ინსტანციები.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლების მრავალ-საუკუნოვან ტრადიციებზე აღზრდილი ქართველი ხალხი არ შერიგებია უცხო ძალით თავსმოხვეულ სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმს და დღიდან მისი დამყარებისა მეტ-ნაკლები ორგანიზებულობით თავგანწირულ ბრძოლებს აწარმოებდა ეროვნული თავისუფლების დასაბრუნებლად.